ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3245616

ნომერი: AR1476765

თარიღი : 23.02.2017

გაცემის თარიღი : 05.05.2017

გაცნობის თარიღი : 07.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ)/ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვ.N039/032-ის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მასხულია პ/ნ 01015003627
- თბილისი მტკვრის ქ. N 6 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 23 თებერვლის #AR1476765 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ქსნის ქუჩის მიმდებარედ), მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ნაკვეთი #039/032-ის მიმდებარედ, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.08.039.155) მრავალფუნქციური კომპლექსის (საყოფაცხოვრებო (სასტუმრო), სავაჭრო ცენტრი,ოფისები, გაზგასამართი და ბენზინგასამართი სადგურები, ავტოსამრეცხაო, ავტოსერვისი) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
პასუხად გაცნობებთ,რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)-ში.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3) წარმოდგენს დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვან საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი პზ-ში) არსებულ/დაგეგმილ კომერციული გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს; განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობებია სავაჭრო ცენტრები,მოლები, და მსგავსი მსხვილი საზოგადოებრივ-კომერციული ობიექტები, ასევე დასაშვებია საკულტო შენობა–ნაგებობების განთავსება სპეციალური (ზონალური)შეთანხმების საფუძველზე. რომლის შესაბამისად განაცხადზე მოთხოვნილი საპროექტო ობიექტების ფუნქციური სახეობების მშენებლობა აღნიშნულ ზონაში ნებადართული არ არის. გამომდინარე აქედან, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)-ის დასაშვები სახეობებიდან უნდა აირჩიოთ სასურველი ფუნქცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება (მოთხოვნა უნდა დააფიქსიროთ ყველა დახარვეზებულ ველში).

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,7
კოეფიციენტი
კ-2
–
კოეფიციენტი
კ-3
0,2
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
500
კვ.მ
მინიმალური სიგანე
20
მეტრი
მინიმალური სიღრმე
20
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15
მეტრი
შენიშვნა
–

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.
დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 20 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 23 თებერვლის #AR1476765 განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.